

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო,
გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტს

შ.პ.ს. “ველი გრუპ“-ს დირექტორის
გიორგი ცირეკიძის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

განსახილველად წარმოგიდგენთ ფირმის კუთვნილ ასფალტის წარმოების
სკრინინგის ანგარიშს.

პატივისცემით,

შ.პ.ს. “ვეილს გრუპ“-ს დირექტორი

გიორგი ცირეკიძე

08.05.2019 წ.

ტ. 5 99313133

“ვამტკიცებ”

შ.პ.ს. “ველი გრუპ”-ის დირექტორი

---- ----- 2019 წ.

შ.პ.ს. “ველი გრუპ”-ის

ასფალტის წარმოების სკრინინგის ანგარიში

გარდაბანი, სოფ. ვაზიანი

სკრინინგის ანგარიში

1. შ.პ.ს. “ველი გრუპ“-ი, გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. ვაზიანის მიმდებარედ, იჯარით აღებულ ტერიტორიაზე (ს.კ. 81.10.38.120), აწარმოებს ბეტონის საწარმოს მონტაჟს.

ძირითადი მონაცემები საწარმოს შესახებ

1	2	3
1.	ობიექტის დასახელება	შ.პ.ს. “ველი გრუპ“-ს ასფალტის წარმოება
2.	ობიექტის მისამართი: ფაქტიური იურიდიული	გარდაბანი, სოფ. ვაზიანის მიმდ. ტერიტორია თბილისი, პეტრიაშვილის №24, ბ-2
3.	საიდენტიფიკაციო კოდი	205 272 122
4.	GPS კოორდინატები	X– 5021180 Y– 4615825
5.	ობიექტის ხელმძღვანელი: გვარი, სახელი ტელეფონი ელ. ფოსტა	გიორგი ცირეკიძე 5 99 31 31 33 dachinat@yahoo.com
6.	მანძილი ობიექტიდან უახლოეს დასახლებულ პუნქტამდე	>500 მ.
6.	ეკონომიკური საქმიანობის სახე	სამშენებლო მასალების წარმოება
7.	გამოშვებული პროდუქციის სახეობა	ასფალტი
8.	საპროექტო წარმადობა	74880 ტონა/წელი
9.	ნედლეულის სახეობა და ხარჯი	ქვიშა – 30860 ტონა ღორღი –34890 ტონა ბიტუმი –4867 ტონა მინერალური ფხვნილი –4270 ტონა

10. 1.	საწვავის სახეობა და ხარჯი (გარდა სატრანსპორტო საშუალებებში გამოყენებული)	ბუნებრივი აირი – 1 347 840 მ ³ /წელ ღიზელის საწვავი – 898.6 ტონა/წელ
11.	სამუშაო დღეების რაოდენობა წელიწადში	260
12. 2.	სამუშაო საათების რაოდენობა დღეში ღ ა	8

3. მიწის ნაკვეთი (კატეგორია არასასოფლო-სამეურნეო, ფართი 4231 მ².) ფირმას აღებული აქვს იჯარით. საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს გადის საავტომობილო ავტომაგისტრალი, არის მაღალი ძაბვის ელ. მაგისტრალი. ტერიტორია ბუნებრივად მოსწორებულია. შერჩეული ფართი წარმოადგენს ოპტიმალურ ვარიანტს ზემოსსენებული საქმიანობის განსახორციელებლად.
4. უახლოესი საცხოვრებელი სახლი საწარმოდან დაშორებულია 500 მეტრზე მეტი მანძილით აღმოსავლეთის მიმართულებით სოფ. ვაზიანი და დასავლეთის მიმართულებით სოფ. წინუბანი, უახლოესი დასახლებული პუნქტის – სოფ. ვაზიანის მოსახლეობა არ აღემატება 1500 კაცს.
5. საქმიანობის განხორციელებისას გარემოზე შესაძლო ზემოქმედების სახეებია:
 - ა) ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერების გამოყოფა დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან.
 - ბ) სანიაღვრე წყლის ჩაშვება ბუნებრივ წყალსადინარში (მუწისზედა რელიეფზე).
 - გ) ხმაური და ვიბრაცია
 - დ) საწარმოო და საყოფაცხოვრებო ნარჩენები.
 - ე) ზემოქმედება ფლორასა და ფაუნაზე, ლანდშაფტზე, არქიტექტურულ და ისტორიულ ძეგლებზე.

ტექნოლოგიური პროცესის მოკლე აღწერა

საწარმოში დამონტაჟებულია DC-117-2K ტიპის ასფალტის დანადგარი, რომლის საპროექტო წარმადობა შეადგენს 36 ტ/სთ-ს. დანადგარი განკუთვნილია სხვადასხვა ასფალტბეტონის ნარევის მოსამზადებლად, რაც შეიძლება გამოყენებულ იქნას საავტომობილო გზის მშენებლობაში. ასფალტის დანადგარი მუშაობს დიზელის საწვავზე, პერსპექტივაში გათვალისწინებულია მისი გადაყვანა ბუნებრივ აირის გამოყენებაზე.

საწარმოს საპროექტო (36 ტ/სთ) სიმძლავრით ფუნქციონირების შემთხვევაში და წელიწადში 260 სამუშაო დღის და დღეში 8 საათიანი მუშაობის რეჟიმის პირობებში, ქარხანა წელიწადში გამოუშვებს 74880 ტონა ასფალტს, რომლის წარმოებისთვის გამოიყენებს 30860 ტონა ქვიშას, 34890 ტონა ღორღს, 4867 ტონა ბიტუმს, 4270 ტონა მინერალურ ფხვნილს. საწარმოს საწვავად შეუძლია გამოიყენოს როგორც დიზელის საწვავი, ასევე ბუნებრივი აირი.

ინერტული მასალები შემოიზიდება ავტოთვიტმცლელებით და დაიყრება ინერტული მასალების (ქვიშა, ღორღი) საწყობში. საწყობიდან ინერტული მასალები ავტოჩამტვირთველის საშუალებით მიეწოდება ასფალტის ქარხნის მიმღებ ბუნკერებს, საიდანაც ისინი ლენტური ტრანსპორტიორის საშუალებით გადავა ინერტული მასალების საშრობ დოლში. ამ პროცესს თან სდევს მტვრის მნიშვნელოვანი რაოდენობით წარმოქმნა. მტვერდამჭერებით გამოცალკევებული მინერალური მტვერი გადაიტანება სპეციალურ საცავში, საიდანაც ისევ მიეწოდება შემრევ მოწყობილობას. გაცხელებული და გამომშრალი მასალა მიეწოდება ცხავეებზე, სადაც ხდება მათი ფრაქციებად დაყოფა. შემდგომ, სპეციალურ სასწორებზე წარმოებს მასალის დოზირება წინასწარ მოცემული რეცეპტის მიხედვით და აწონილი მასალა იყრება ამრევ ბუნკერში, სადაც დოზირებით მიეწოდება წინასწარ გაუწყლოებული და მუშა ტემპერატურამდე გაცხელებული ბიტუმი, აგრეთვე, მინერალური ფხვნილი. არევის პროცესის დასრულების შემდეგ პროდუქცია გადადის ჩასატვირთ-განსატვირთ ბუნკერში, საიდანაც მზა პროდუქცია ავტოტრანსპორტით მიეწოდება მომხმარებელს.

ბიტუმი საწარმოში შემოდის ავტოციისტერნების საშუალებით და თავსდება მიწისზედა მეტალის სხვადასხვა ტევადობის (60 ტონიანი-ერთი ცალი, 12 ტონიანი-2

ცალი) ბიტუმსაცავ-გამაცხელებელ რეზერვუარში, რომელთაც თითოეულს გააჩნია დიზელის საწვავზე ან ბუნებრივ აირზე მომუშავე დამოუკიდებელი გამაცხელებელი დანადგარი. ბიტუმის მისაწოდებელი მილგაყვანილობა ცხელდება ტენების საშუალებით ელ. ენერჯის ხარჯზე გაცხელებული ზეთის მეშვეობით. დიზელის საწვავის შესანახად საწარმოს გააჩნია ერთი - 35 მ³ მოცულობის რეზერვუარი.

წყალ გამოიყენება მტვერდამჭერი სისტემის მესამე საფეხურზე დარტყმით-ინერციული ქმედების სველ მტვერდამჭერში, სხვა მხრივ მისი გამოყენება ტექნოლოგიურ პროცესში არ ხდება; წყალი აგრეთვე მოიხმარება მხოლოდ საყოფაცხოვრები დანიშნულებით. შესაბამისად საწარმოო ჩამდინარე წყლები ქარხანას არ აქვს.

საწარმოს გენგეგმა წარმოდგენილია დანართში.

ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა სახეობები და მათი ძირითადი მახასიათებელი სიდიდეები

საწარმოს საქმიანობის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში გამოიყოფა მტვერი, ნახშირჟანგი, აზოტის დიოქსიდი, გოგირდის ანჰიდრიდი, ჭვარტლი, ნახშირწყალბადები, ნახშირორჟანგი. ზემოთჩამოთვლილ ნივთიერებებს (გარდა ნახშირორჟანგისა) გააჩნიათ გარემოზე მავნე ზემოქმედების უნარი.

ნახშირორჟანგი არ განეკუთვნება მავნე ნივთიერებას, მაგრამ ის გათვლებში შეტანილია, როგორც სათბურის ეფექტის მქონე აირი.

მაგნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციის სიდიდეები

კოდი	მაგნე ნივთიერებათა დასახელება	ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია, მგ/მ ³		მაგნე ნივთიერებათა საშიშროების კლასი
		მაქსიმალური ერთჯერადი	საშუალო დღე-ღამური	
2909	მტვერი	0,5	0,05	3
0328	ჭვარტლი	0,15	0,05	3
0301	აზოტის დიოქსიდი	0,2	0,04	2
0330	გოგირდის ანჰიდრიდი	0,5	0,05	3
0337	ნახშირჟანგი	5	3	4
2754	ნახშირწყალბადები	1	1,5	4

საწარმოში ატმოსფერული ჰაერის დამაბინძურებელი წყაროებია იქნება:

საწარმოში იფუნქციონირებს მაგნე ნივთიერებათა გამოყოფის 11 წყარო, კერძოდ:

- DC-117-2K ტიპის ასფალტის დანადგარის საშრობი დოლი (გ-1);
- ინერტული მასალების (ქვიშა, ღორღი) საშრობი დოლის ბუნკერში ჩაყრა (გ-2);
- ინერტული მასალების (ქვიშა, ღორღი) ასფალტის დანადგარის მიმღებ ბუნკერში ჩაყრა (გ-3);
- ინერტული მასალების ლენტური ტრანსპორტიორით გადაადგილება (გ-4);

- ავტოცისტერნებიდან ბიტუმის გადმოსხმა, შენახვა და გაცხელება ბიტუმსაცავ-გამაცხელებელ რეზერვუარებში (გ-5, გ-6, გ-7);
- დიზელის საწვავის რეზერვუარი (გ-8);
- ნედლეულის (ქვიშა-ლორდი) ჩამოცლა (გ-9);
- ნედლეულის (ქვიშა-ლორდი) საწყობი (გ-10);
- მინერალური ფხვნილის სილოსი (გ-11).

ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობის ანგარიში.

საწარმოს ფუნქციონირების შედეგად ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ანგარიში განხორციელდება ასფალტის წარმოების დარგობრივი მეთოდის საფუძველზე საანგარიშო მეთოდების გამოყენებით, საწარმოს მაქსიმალური დატვირთვის პირობებისთვის.

წინაწარი გამოთვლებით ატმოსფეროში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა სახეობებმა და რაოდენობამ უნდა შეადგინოს შემდეგი მოცულობები:

№	გამოყოფილი მავნე ნივთიერება	დიზელის საწვავის გამოყენებისას		ბუნებრივი აირის გამოყენებისას	
		ტ/წელ	გ/წმ	ტ/წელ	გ/წმ
1	აზოტის დიოქსიდი	3.055	0.408	4.852	0.648
2	ნახშირჟანგი	12.49	1.668	11.996	1.602
3	გოგირდის ორჟანგი	5.391	0.72	-	-
4	ნახშირწყალბადები	7.9	1.055	7.9	1.055
5	ჰვარტლი	0.225	0.03	-	-
6	მტვერი	20.53	2.74	20.53	2.74
7	ნახშირორჟანგი	2882.58	-	2695.68	-

საშრობ დოლში დაჭერილი მტკრის გამოყენება მოხდება ხელმეორედ, როგორც შემავსებელი ასფალტის შმერეკ დანადაგარში.

ხმაური და ულტრაბგერები

ხმაური წარმოადგენს სხვადასხვა სიხშირის და ინტენსივობის ბგერების მოუწესრიგებელ ერთობლიობას, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს მავნე ზემოქმედება ადამიანის ორგანიზმზე. ხმაურის წყარო შეიძლება იყოს ნებისმიერი პროცესი, რომელსაც მყარ, თხევად ან აიროვან გარემოში შეუძლია გამოიწვიოს ბგერითი წნევა ან მექანიკური რხევები. ხმაურს გააჩნია გარკვეული სიხშირე ან სპექტრი (აითვლება ჰერცებში) ბგერითი წნევის ინტენსივობა, რომელიც იზომება დეციბელებში. ადამიანის სმენას შეუძლია გააჩიოს ბგერის სიხშირე 16 -დან 20 000 ჰერცის ფარგლებში.

ხმაურის ინტენსივობა უმეტეს შემთხვევაში იზომება ლოგარითმული სკალით, რომლის ყოველი საფეხური 10-ჯერ მეტია წინანდელზე. ხმაურის დონის ასეთ თანაფარდობას ეწოდება ბელი (ბ),

საწარმოში დამონტაჟებულია სამსხვრევი დანადგარი, ლენტური კონვეიერები, ელ. ძრავები და სხვა მოწყობილობები, რომლებიც წარმოადგენენ ხმაურის ელექტრომაგნიტურ წყაროს, ხმაურის დონე თითოეული მათგანისთვის არ აღემატება 105 დეციბელს. შესაბამისად ხმაურის ჯამური დონე იქნება:

$$L_{\Sigma} = 105 + 10 \lg 5 = 112 \text{ დბ.}$$

ბგერითი სიმძლავრის დონეები სხვადასხვა მანძილზე მოცემულია ცხრილში

ოქტავური ზოლების საშუალო გეომეტრიული სიხშირე, ჰც	ბგერითი წნევის დონეები დეციბელებში, საწარმოდან r მანძილზე (მ)									
	50	100	150	200	250	300	350	400	450	500
63	70.0	64.0	60.5	58.0	56.0	54.5	53.1	52.0	50.9	50.0
125	70.0	63.9	60.9	57.8	55.9	54.2	52.9	51.7	50.6	49.7

250	69.9	63.9	60.3	57.7	55.3	54.0	52.6	51.4	50.3	49.3
500	69.9	63.7	60.0	57.4	55.3	53.6	52.1	50.8	49.6	48.5
1000	69.7	63.4	59.6	56.8	54.5	52.7	51.0	49.6	48.2	47.0
2000	69.4	62.8	58.7	55.6	53.0	50.9	48.9	47.2	45.5	44.0
4000	68.8	61.2	56.9	53.2	50.0	47.3	44.7	42.4	40.1	38.0
8000	67.6	59.2	53.3	48.4	44.0	40.1	36.3	32.8	29.3	26.0
ხმაურის ჯამური ღონე	69.4	62.8	58.8	55.6	53.0	50.9	49.0	47.2	45.6	44.1

უნდა აღინიშნოს, რომ ბგერის გავრცელების სიჩქარეზე მოქმედებს ჰაერის ტემპერატურა და ქარის სიჩქარე, ხოლო ბგერის ჩახშობა განისაზღვრება ადგილის რელიეფით და ჰაერის ტენიანობით. თუ საწარმოს ტერიტორია გამწვებული იქნება მრავალწლიანი ნარგაობით, ხმის ჩახშობის სიმძლავრე გაიზრდება 10-13 დეციბელით. აღნიშნულის გათვალისწინება საჭიროა აკუსტიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის საჭირო ღონისძიებების შემუშავების დროს.

ჩატარებული გათვლების და წარმოების ტექნოლოგიის გათვალისწინებით, ობიექტიდან წარმოქმნილი ხმაური არ აღემატება დასაშვებ ნორმებს.

ულტრაბგერები

ულტრაბგერები ეწოდება ღრეკად რხევებს და ტალღებს, რომელთა ბგერითი სიხშირის დიაპაზონი უფრო მეტია, ვიდრე ადამიანის სმენის ზედა ზღვარი. ულტრაბგერის ქვედა ზღვარი პირობითია, ვინაიდან სმენითი აღქმის უნარი იცვლება საკმაოდ დიდ დიაპაზონში.

საწარმოს პირობებში ულტრაბგერების წყარო შეიძლება იყოს კომპრესორი, ელ. ძრავი, სვადასხვა მოწყობილობები და ავტოსატრანსპორტო საშუალებები.

ბიოლოგიურ გარემოში ულტრაბგერების გავლენა დამოკიდებულია მის სიხშირეზე, შთანთქმის ხარისხზე, ულტრაბგერით ველზე, ინტენსივობასა და სხვა ფაქტორებზე,

საერთოდ ულტრაბგერები ბიოლოგიურ სისტემაზე ახდენენ კომპლექსურ გავლენას – მექანიკურ, ქიმიურ და ელექტროფიზიკურს.

ბგერითი წნევების დასაშვები დონეები სამუშაო ადგილებისთვის მოცემულია ცხრილში.

საშუალო-გეომეტრიული სიხშირეების ოქტავურ ზოლში, ჰც.		
12 500	16 000	20 000 და მეტი
ბგერითი წნევის დონეები		
75	85	110

თუ ულტრაბგერის ზემოქმედების ხანგრძლივობა ნაკლებია 4 საათზე, მაშინ ზემოთ მოყვანილი ცხრილში საჭიროა შესწორებების შეტანა ცხრილი მიხედვით.

ულტრაბგერის ზემოქმედების ჯამური საზღვარი	შესწორება, დბ.
1-დან 4 საათამდე	+6
0.52 –დან 1 საათამდე	+12
5-დან 15 წუთამდე	+18
1-დან 5 წუთამდე	+24

წყალსარგებლობა

საწარმოო დანიშნულების წყალი ქარხანაში გამოიყენება მხოლოდ მტვერდამჭერი დანადგარის მესამე საფეხურზე, დარტყმით-ინერციული ქმედების სველ მტვერდამჭერში. ამ მიზნით წყლის შემოტანა მოხდება ავტოცისტერნით და მისი სავარაუდო მოცულობა წელიწადში შეადგენს არაუმეტეს 300 მ³/ს.

რაც შეეხება საყოფაცხოვრებო დანიშნულების წყალს, იგი საწარმოში შემოიტანება გადასატანი ჭურჭლით გარედან, როგორც დასახლებული პუნქტების წყალსადენიდან, ასევე საცალო ვაჭრობის ქსელიდან.

საწარმოო ჩამდინარე წყლები წარმოებაში არ წარმოიქმნება, შესაბამისად არ არის მათი დამუშავების და არინების საჭიროება.

saniaRvre Camdinare wylebis warmoqmna xdeba atmosferuli naleqebis (wvima, Tovli) dros.

saproeqto teritoriaze warmoqmnili saniaRvre wylebis moculoba daiTvleba formuliT:

$$V = 10 \times F \times H \times K \text{ m}^3/\text{wel.}$$

sadac:

V - aris saniaRvre wylebis xarji, m³/wel;

F - saproeqto teritoriis farTi, m² (Cvens SemTxvevaSi Seadgens 0.4231 ha-s);

H - naleqebis saSualo wliuri raodenoba, mm, (Cvens SemTxvevaSi Seadgens weliwadSi 422 mm-s);

K - teritoriis safaris tipze damokidebulobis koeficienti (Cvens SemTxvevaSi xreSis safarisTvis K=0.3).

FformulaSi Seesabamisi monacemebis CasmiT miviRebT:

$$V = 10 \times 0.4231 \times 422 \times 0.3 = 536 \text{ m}^3/\text{wel}$$

naleqebis maqsimaluri dReRamuri raodenoba saproeqto teritoriisaTvis Seadgens 82 mm-s. Sesabamisad saniaRvre wylebis maqsimaluri dRe-Ramuri moculoba iqneba:

$$V_{dR.Ram} = 10 \times 0.4231 \times 82 \times 0.3 = 104 \text{ m}^3/dR.Ram$$

saniaRvre wylebis maqsimaluri saaTuri xarji (wvimis saSualo xangrZlivobad dRe-RameSi viRebT 4 saaTs) iqneba:

$$V_{saaT} = 104 / 4 = 26 \text{ m}^3/saaT.$$

saniaRvre wylebi meqanikuri saleqaris gavlis Semdeg gaedineba miwiszeda reliefze. aRsaniSnavia, rom saaTuri CaSveba gaTvlilia drois mcire monakveTsi, mxolod wvimis xangrZlivobis gaTvaliswinebiT.

Sewonili nawilakebis Semcveloba damuSavebul, saleqaridan gamosul saniaRvre wylebSi Seadgens:

$$536 \times 60 = 32160 \text{ g/wel, igive } 0.032 \text{ t/wel}$$

სამეურნეო – ფეკალური კანალიზაცია.

"სამშენებლო ნორმებისა და წესების" 2.04.03-85", 3.9 პუნქტის თანახმად, იმ შემთხვევაში, როცა ჩამდინარე წყლების ხარჯი არ აღემატება დღე-ღამეში 1 მ³ -ს, დასაშვებია ამოსაწმენდი ორმოს მოწყობა.

ობიექტის მომსახურე პერსონალის რაოდენობა შეადგენს არაუმეტეს 10 კაცს. თხევადი ნარჩენების მოცულობა 1 კაცზე შეადგენს 7.3 მ³/წელ. ანუ 0.02 მ³/დღ. ამდენად ჩვენს შემთხვევაში თხევადი ნარჩენის საერთო მოცულობა შეადგენს 0.2 მ³/დღ.

შესაბამისად საწარმოში მოეწყობა ორადგილიანი ამოსაწმენდი ორმო, რომლიდანაც გათვალისწინებულია თხევადი ნარჩენების პერიოდული გატანა საასენიზაციო ავტომანქანით.

ნარჩენები. მონაცემები საწარმოში წარმოქმნილ ნარჩენებზე მოცემულია თანდართულ ცხრილში.

საწარმოში **სახიფათო ნარჩენები** ძირითადად წარმოიშობა მისი მონტაჟის დროს.

ქარხნის ექსპლუატაციის ოპერირებაში სახიფათო ნარჩენების წარმოქმნის ალბათობა მნიშვნელოვნად მცირდება, ადგილზე არ იგეგმება მოძრავი მანქანა-მექანიზმების რემონტი და ტექ-მომსახურება, თავად ასფალტის წარმოების ტექნოლოგიური პროცესი უნარჩენოა; მტვერდამჭერში მიღებული მტვერი ხელახლა დაბრუნდება ტექნოლოგიურ ციკლოში. მისი სავარაუდო მაქსიმალური მოცულობა წელიწადში იქნება 1580 ტ.

საწარმოს ამოქმედების შემდეგ საჭიროების შემთხვევაში, წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენები მართვა და შენახვა მოხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ხოლო შემდგომი გატანისა და უტილიზაციისთვის გადაეცემა უფლებამოსილ ფირმას, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე.

საყოფაცხოვრებო ნარჩენები გაიტანება ადგილობრივი კომუნალური სამსახურის მიერ ხელშეკრულების საფუძველზე.

ფლორა – საწარმოს ტერიტორიაზე და მის გარეშემო არ არის აღრიცხული დაცული და ჭრააკრძალული სახეობები, ასევე ფლორისტული შემადგენლობის თვალსაზრისით ლანდშაფტის ღირებული ელემენტები. საწარმოს ირგვლივ არსებული მწვანე საფარი – საძოვარი და სასოფლო სამეურნეო სავარგულები არ განიცდის ცვლილებასა და დეგრადაციას.

ფაუნა – ობიექტის ტერიტორიაზე ასევე არ აღრიცხულა ფაუნის წარმომადგენლები და მათი საბინადრო ადგილები. საწარმოში მიმდინარე ტექნოლოგიური პროცესები შემდგომში ფაქტიურად გამორიცხავს აქ ფაუნის წარმომადგენელთა ბინადრობას. პოტენციური ზეგავლენა (უმნიშვნელო) მოსალოდნელია საწარმოს მიმდებარედ მობინადრე მინდვრის მდრღნელებზე და ენტოფაუნაზე.

ლანდშაფტზე ზემოქმედებაც უმნიშვნელოა – საწარმოს სიახლოვეს სხვა სამრეწველო საწარმოები არ არის. შესაბამისად საწარმოს მონტაჟი და შემდგომი ექსპლუატაცია გამოიწვევს ლანდშაფტის უმნიშვნელო, ადგილობრივ, ლოკალურ ცვლილებას.


დაცული ტერიტორიები – საწარმოს უშუალო სიახლოვეს არ არის, ასევე არ მოხდება და არ განიხილება საქმიანობის შედაგად მათზე უარყოფითი ზემოქმედება.

ისტორიული და არქეოლოგიური ძეგლები – საწარმოს უშუალო სიახლოვეს (500 მ) არ არის, ასევე არ განიხილება მათი მოსალოდნელი ცვლილებების ალბათობა.

სოციალური და ეკონომიკური თვალსაზრისით საწარმოს საქმიანობა შეიძლება შეფასდეს როგორც დადებითი. საწარმოში ადგილობრივი მოსახლეობიდან შესაძლებელია დასაქმდეს 10-12 ადამიანი. წარმოების განვითარება შესაძლებლობას ქმნის მომავალში გაიზარდოს დასაქმებულთა რიცხვი. აქვე გასათვალისწინებელია, რომ ქარხანაში წარმოებულ პროდუქციის შემდგომ გამოყენებაზე დასაქმებულია ადამიანთა მნიშვნელოვანი რაოდენობა.

საწარმოს ფუნქციონირება ხელს შეუწყობს როგორც სახელმწიფო ასევე ადგილობრივი ბიუჯეტის შევსებას და ქარხანაში მომუშავეთა ეკონომიკური მდგომარეობის (ხელფასი) გაუმჯობესებას. გამოშვებული პროდუქცია ხელს შეუწყობს რეგიონში სამშენებლო სამუშაოების წარმოებას, განავითარებს ადგილობრივ ინფრასტრუქტურას, დასაქმებას მიღებული პროდუქციის შემდგომი გამოყენებისდროს და სტიმულს მოიცემს ახალი წარმოებების ამოქმედებას. გაიზრდება მოთხოვნა სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) მოპოვებაზე.

ასფალტის საწარმოს გეგმა



1.საშრობი დოლი; 2.ასფალტის შემრევი დანადგარი; 3. ინ. მასლის მიმღები ბუნკერი;

4. დიზელის საწვავის რეზერვუარი; 5. ბიტუმის რეზერვუარი (60 ტ); 6. ბიტუმის რეზერვუარი (12 ტ);

7. ბიტუმის რეზერვუარი (12 ტ); 8. ქვიშა-ლორღის საწყობი 9. აირმტკვერდამჭერი ბლოკი;

10. ლენტური კონვეირი

მონაცემები მოსალოდნელ ნარჩენებზე

ნარჩენის კოდი	ნარჩენის დასახელება	სახიფათო (დიახ/არა)	ფიზიკური მდგომარეობა	სახიფათობის მახასიათებელი	მიახლოებითი რაოდენობა	ბაზელის კონვენციის კოდი
05 01 10	სალექარში წარმო-ქმნილი შლამი	არა	მყარი	-	130-150 მ ³	
13 01 01	ჰიდრავლიკაში გამოყენებული ზეთები	დიახ	თხევადი	H6	20 კგ	Y10
16 01 17	შავი ლითონი	არა	მყარი	-	500-1500კგ	
16 07 08	ნავთობის შემცველი ნარჩენები	დიახ	მყარი	H3 -B	35-50 კგ	Y9
17 05 06	გრუნტი, რომლებიც შეიცავს საშიშ ქიმიურ ნივთიერებებს	დიახ	მყარი	H15	5-7 მ ³	Y9
20 03 01	შერეული მუნიციპალური ნარჩენები	არა	მყარი	-	400-500 კგ	Y46

